



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საქართველოს ეროვნული პლატფორმის პოზიცია საპარლამენტო სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის თაობაზე

საქართველოს ეროვნული პლატფორმა ეხმიანება შიდა კონსულტაციების შედეგად, საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის საპარლამენტო სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად დასახელებული მისი წევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციის - „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ჯგუფის შეხვედრაზე არ დაშვებას.

ეროვნული პლატფორმა ვერ გაიზიარებს ჯგუფის ხელმძღვანელის, ბატონი გივი მიქანაძის მიერ საჯაროდ გამოხატულ პოზიციას, აღნიშნული ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფში არ დაშვებასთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩართულობა არ უნდა განისაზღვროს და მით უფრო შეიზღუდოს ხელისუფლების მიმართ მისი კრიტიკული პოლიტიკური პოზიციიდან გამომდინარე. ამავდროულად, საგუსლიხმთა, რომ თავად ორგანიზაციის მხრიდან დაფიქსირდა ჩართულობის მზაობა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან არსებულ სამუშაო ჯგუფებში, რაც ნათლად ადასტურებს მის კონსტრუქციულ თანამშრომლობით განწყობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, ასევე ერთგულებას მთლიანად დემოკრატიული პროცესებისადმი. აღნიშნული კი უპირველეს ყოვლისა მოიაზრებს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან, მათ შორის სახელისუფლოსთან, კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

კიდევ ერთხელ გამოვხატავთ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის გაგრძელების მზაობას ინკლუზიურობის პრინციპის საფუძველზე. ვთვლით, რომ დღეს განსაკუთრებით საჭიროა ძალების კონსოლიდაცია, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად. შესაბამისად, მზად ვართ, გავმართოთ დამატებითი კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოების რეალური ჩართულობისთვის ამ უკიდურესად მნიშვნელოვან პროცესში. ვიმედოვნებთ, რომ შედეგად, კარი გაეხსნება როგორც „სამართლიანი არჩევნებს“, ისე სამოქალაქო საზოგადოების უფრო ფართო შემადგენლობას, რათა თავისი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ევროპულ მომავალში.